

შპს “ბასსიანი”

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	9
4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები.....	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	12
7. ძირითადი საშუალებები.....	13
8. არამატერიალური აქტივები.....	13
9. კრედიტორული დავალიანება.....	14
10. სესხები და პროცენტები.....	14
11. შემოსავლები.....	14
12. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	14
13. საოპერაციო ხარჯები.....	14
13. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები.....	15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბასსიანის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 17 სექტემბერს.


დირექტორი

აკაკი ხურციძე



მთავარი ბუღალტერი

ლია დიასამიძე



შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

17 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

შპს "ბასსიანი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტი	4	349722	383,620	217,835	23,234
საეჭრო მოთხოვნები	5	161574	98,734	96,520	115,302
გადახდილი ავანსები		146761	143,873	144,108	52,154
საგადასახადო აქტივი					0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	69646	43,164	91,637	123,374
ძირითადი საშუალებები	7	544499	345,980	516,957	645,461
არამატერიალური აქტივები	8	1499	1,935	2,372	2,809
სულ აქტივები		1273701	1,017,306	1,069,429	962,334
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	9	170592	227,735	206,597	224,144
საგადასახადო ვალდებულებები		39449	30,734	27,892	30,919
გადასახდელი ხელფასები					0
მიღებული სესხები	10				202,251
სხვა ვალდებულებები	10	220722	220,721	220,721	198,657
სულ ვალდებულებები		430763	479,190	455,210	655,971
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		218000	218,000	218,000	218,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		297253	320,116	396,219	88,363
გადაფასების რეზერვი		327685			
სულ კაპიტალი		842938	538,116	614,219	306,363
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1273701	1,017,306	1,069,429	962,334


დირექტორი

აკაკი ხურციძე



მთავარი ბუღალტერი

ლია დიასამიძე



შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2021	2020	2019
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	11	143788	275,866	1,324,171
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(47627)	(126,069)	(551,768)
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11	135057	515,390	1,835,783
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი		(81772)	(241,752)	(1,033,705)
სხვა შემოსავლები	11	93425	1,881	4201
შრომის ანაზღაურების ხარჯი	12	(68852)	(112,876)	(403,680)
საიტარო მომსახურების ხარჯი		(64076)	(127,686)	(266741)
ცვეთის ხარჯი		(132806)	(178,419)	(183554)
საპროცენტო ხარჯი			(-)	(22,065)
ვალუტის გადაფასების მოგება/ზარალი			(315)	(13,764)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი				
სხვა საოპერაციო ხარჯი	13		(82,122)	(381,020)
მოგება დაბეგვრამდე			--	307856
მოგების გადასახადი				
პერიოდის მოგება/ზარალი		(22863)	-76102	307856
სხვა სრული შემოსავალი				
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-	307856

ს. მ/წ

გა- მომ

შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

დირექტორი

აკაკი ხურციძე

მთავარი ბუღალტერი

ლია დიასამიძე

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	218000	396219	-	614219
წმინდა მოგება/ზარალი	-	-76103	-	-76103
დივიდენდის გადანა	-	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	218,000	320116	-	538116
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	218000	327685	327685	842938


დირექტორი

აკაკი ხურციძე



მთავარი ბუღალტერი

ლია დიასამიძე



შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	2020	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	913,881	255179
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(523,397)	(172251)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(112,875)	(68852)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(111,510)	(47707)
სხვა შემოსავლები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	166,099	(-33898)
)		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(-)	(-)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(-)	(-)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(-)	(-)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	-
სესხის დაფარვა	(-)	(-)
პარტნიორთა შენატანები	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(166,099)	(-33898)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(166,099)	(-33898)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(315)	(315)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	217,835	383620
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	383,620	349722

ს. ი. მ.

7

დირექტორი

აკაკი ხურციძე



მთავარი ბუღალტერი

ლია ღიასამიძე



შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბასსიანი" შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2016 წლის 28 ივნისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405155889. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკლებო მომსახურების გაწევა. იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. მოსაშვილის ქ. #7/7. ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, წერეთლის ქ. #2.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- აკაკი ხურციძე (60002002566) - 50.00%;
- ნიკო ნიკოლაძე (01017027643) - 10.00%;
- ნათია ორაშვილი (01026011193) - 10.00%;
- ზვიად გელაზიანი (01024062840) - 10.00%;
- ივანე გეთია (01009020847) - 10.00%;
- ვახტანგ გოცაძე (01020003576) - 10.00%;

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის შემდგომ (მსს ფასს) პირველად გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35-ე „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაძარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია და დამტკიცებულია 2021 წლის 29 სექტემბერს

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, კომპანიას აქამდე არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8661	3,2143

3.2 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ს. ს. ს.

გ. გ. გ.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.3 საფაქრო და სხვა მოთხოვნები

საფაქრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

3.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით. სანარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თანხით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- სასცენო ტექნიკა და აღჭურვილობა 5-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 5-10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

ს. მ. მ.

გ. მ. მ.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების განვების ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების განვების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლედი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

3.13 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

3.14 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3.15 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები განეწესთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	2021	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	315724	382,963	217,859	13647
ეროვნული ვალუტარეზიდენტ ბანკში	28282	-	(23,94)	5024
დოლარი რეზიდენტ ბანკში		356	-	3853
ევრო რეზიდენტ ბანკში	5715	120		810
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	349722	383,620	217 835	23 234

5. სავაჭრო მოთხოვნები

	2021	31.12.2020	01.01.2020
სავაჭრო მოთხოვნები	161573	98,734	96,520
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები:	161573	98,734	96,520

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან და ასევე, მომსახურების გასაწევად საჭირო მარაგებისგან.

	2021	31.12.2020	01.01.2020
საქონელი	27234	1330	53709

შპს "ბასსიანი"

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

მასალები	28041	28041	25460
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	13373	13373	12049
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	69645	43,163	123,374

7. ძირითადი საშუალებები

	მინა	შენიშვნები	მანქანა დანადგარები	1000 ლარზე ქვემოთ ლირ-ბის ძირ საშუალებები	ავტო და სხვა ინვენტარი	არამატერიალურ ი ქატივები	სხვა 2190 იჯარით აღებული ქონების კუთილმონაცობა	სულ
ბალანსი 01.01.2018	-	-	59126.5	22688.01	53675.72	2912.45	197544.85	868035.08
შეძენა	-	-	109076.77	-	25889.82	-	-	134966.59
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	-	-	703203.27	22688.01	79565.54	2912.45	197544.85	1003001.67
შეძენა	-	-	18318.21	-	169.49	-	36125.25	-
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	-	-	721521.48	22688.01	79735.03	2912.45	233670.1	1057614.62
შეძენა	-	-	1303.01	-	-	-	5702.56	-
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	-	722824.52	22688.01	79735.03	2912.45	239372.66	1064620.22
ბალანსი 31.12.2021	-	-	1015816	317641	111444	2912.45	239372	1398397
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 01.01.2018	-	-	118504.03	3598.24	11937.34	69.12	51228.68	185337.41
ცვეთა	-	-	135534.73	4470.15	13208.11	34.56	21947.38	175194.93
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	-	-	254038.76	8068.39	25145.45	103.68	73176.06	360428.66
ცვეთა	-	-	138041.57	4470.2	13239.2	436.92	27366.2	183117.17
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	-	-	392080.33	12538.59	38384.65	540.6	100542.26	543545.83
ცვეთა	-	-	139446.09	4470	13242.01	436.92	20824.57	178419.59
ჩამონერა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	-	531526.42	17008.59	51626.66	977.52	121366.83	721965.42
ბალანსი 31.12.2021	-	-	631328	18959	63542	1414	139067	853897
ბალანსი 01.01.2018	-	-	449164.51	14619.62	54420.09	2808.77	124368.79	645381.78
ბალანსი 31.12.2019	-	-	329441.15	10149.42	41350.38	2371.85	133127.8	516441
ბალანსი 31.12.2020	-	-	191298.01	5679.42	28108.37	1934.93	118005.83	345026.56
ბალანსი 31.12.2021	-	-	384488	297682	47902	1498.45	100305	544500

7. არამატერიალური აქტივები

ს. ნ. ნ.

გ. ნ. ნ.

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 01.01.2019	230	2 682	2,912
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	230	2,682	2,912
შეძენა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	230	2,682	2,912
ბალანსი 31.12.2021	-	-	2912
ცვეთა	-	-	-
ბალანსი 01.01.2019	103	-	103
ცვეთა	34.56	402.35	540.6
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	138.24	402.36	540.6
ცვეთა	34,56	402,36	436,92
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	172,8	804,72	977,52
ბალანსი 31.12.2021	-	-	1414
ბალანსი 01.01.2019	127	2.682	2809
ბალანსი 31.12.2019	92	2279.65	2371.85
ბალანსი 31.12.2020	57,2	1877,28	1934,48
ბალანსი 31.12.2021	-	-	1498,45

8. კრედიტორული დავალიანება

	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
სავაჭრო ვალდებულებები	170592	227,735	206,596
სულ კრედიტორული დავალიანება	170592	227,735	206,596

9. მოკლევადიანი სესხები და პროცენტები

	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
აკაკი ხურციძე (ლარი)	-	-	-
აკაკი ხურციძე (ევრო)	-	-	-
გადასახდელი პროცენტები	220721	220,721	220,721
სულ მოკლევადიანი სესხები და პროცენტები:	220721	220,721	220,721

კომპანიას სესხი აღებული აქვს დირექტორის და ამავე დროს 50%-იანი წილის მფლობელი აკაკი ხურციძისაგან ქართულ ლარში (სესხის დაფარვის ვადა 31.12.2019) და ევროში (სესხის დაფარვის ვადა 31.12.2019). სესხზე რიცხული სარგებელი ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 17,32 %-ს, ხოლო ევროში 10,19 %-ს. კომპანიას ასევე სესხი აღებული ჰქონდა შპს „შიპოკრატისაგან“ ეროვნულ ვალუტაში 17,32 %-იანი განაკვეთით, რომელიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში დაფარა.

10. შემოსავლები

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები საქონლის	143788	275,866	1,324,171

შემოსავლები მომსახურების განყიდვად	135057	515,391	1,835,783
სხვა შემოსავლები	93425	1881	4152
სულ შემოსავლები:	793,138	3,164,155	

11. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი	2021	2020	2019
მენეჯმენტის ანაზღაურება	68852	101588	367,348
დანარჩენი თანამშრომლების ანაზღაურება		11288	36,331
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	68852	112876	403,680

12. სხვა საოპერაციო ხარჯები 2021

2020

დაზღვევა	-
დეკორაცია	895,67
ელექტრო ენერგია	19132
სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხარჯი	456,6
საკანცელარიო	53,11
წარმომადგენლობითი ხარჯი	708,15
წყლის ხარჯი	3587
საკომისიო	4060
სხვადასხვა გადასახადი	53229

სულ სხვა საოპერაციო ხარჯები

82122

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის გავრცელებამ და აღნიშნულის გამო შექმნილმა მდგომარეობამ არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირების მიზნით საქართველოს ხელისუფლების, მიერ მიღებულმა ზომებმა უშუალოდ იმოქმედა თითქმის ყველა ტიპის ბიზნესზე, მათ შორის გასართობი კლუბების საქმიანობა საერთოდ შეჩერდა.

გემოაღნიშნულმა, თავის მხრივ, ბუნებრივია, წარმოშვა ლეგიტიმური კითხვები კომპანიაში მოსალოდნელი შემოსავლების, ხარჯების ოპტიმიზაციის და არსებული შრომით ურთიერთობების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შეფასება შეუძლებელია, ვირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენა არსებითი იქნება და შემოსავლის უდიდესი ნაწილის შემცირება მიმდინარე წელს გარდაუვალია.

გემოაღნიშნულის გამო, ჩვენი კომპანიის 2020 წლის შემოსავლები საგრძნობლად შემცირდება. აქვე ხაზგასასმელია, რომ ახლა შეუძლებელია იმაზე საუბარი, თუ ზუსტად ციფრობრივი გამოხატულებით რა გავლენა ექნება კრიზისს ჩვენს საქმიანობაზე და ვერ განვსაზღვრავთ რა დრო დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას, ვინაიდან ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ჩვენი კომპანიის და ქართული ბიზნესის ისტორიაში და ჩვენს კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

როგორც ცნობილია, საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შედეგად, 2020 წლის 23 მარტს დაწესებული შეზღუდვებით ბიზნეს-საქმიანობის განხორციელება, გამონაკლისების გარდა, სრულად აიკრძალა, ნაწილს შეეზღუდა, მათ შორის საქმიანობის განხორციელება დასაშვები გახდა მხოლოდ დისტანციურად. მოცემულ

პირობებში, ვინაიდან კლუბის საქმიანობა სრულად აიკრძალა, კომპანია იძულებული გახდა თანამშრომლებთან განეხორციელებინა შრომითი ურთიერთობების დროებითი შეჩერება.

მთავრობის მხრიდან, მიმდინარე ეპიდემის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის უფრო მეტად აქტიური პროგნოზირების გაკეთების შემდეგ, ასევე, ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვების მოხსნის გარკვეული პერიოდიდან, კომპანია შეძლებს, რომ უკეთ მოახდინოს პრიორიტეტების გამოკვეთა და საჭიროების შემთხვევაში კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია.

კომპანიის მნიშვნელოვანი და იმედისმომცემია, რომ 2021 წლის 27 აპრილიდან ეტაპობრივად დაიწყო ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვების მოხსნა. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკისათვის, უფრო მიზანშეწონილია გაიზარდოს საწარმოების კონტროლის ხარისხი და აღნიშნულ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები, ვიდრე, პრევენციის მიზნით, გაგრძელებულიყო საწარმოების საქმიანობის შეჩერება, რომელიც უფრო მეტად გამოიწვევდა ღირებულების და დოვლათის შექმნის პროცესის პარალიზებას, დასაქმებულთა საბოლოოდ დათხოვნას და შემოსავლების დაკარგვას მთლიან ეკონომიკაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს მთვრობის განცხადებით 2021 წლის 27 აპრილიდან დაიწყო ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვების მოხსნა, რომელიც ხორციელდება ეტაპობრივად, ყოველ შემდგომ ეტაპზე გადასვლა დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზზე. ვიმედოვნებთ მოცემულ პირობებში გასართობ კლუბებს მიეცემათ მუშაობის გაგრძელების საშუალება. შემუშავებული გეგმა მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, რათა პირველ რიგში, შენარჩუნებული იქნას ყველა თანამშრომელი და მოხდეს ბიზნესის გამოჯანსაღების პროცესის დაწყება. ყოველივე ეს საფუძველს მოგვცემს მომავალში განსახორციელებელი დეტალური გეგმის შემუშავებაში.

ს. ს/ს

გ. მ. მ. მ.